ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 5 ნოემბრის ბიუროს რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 7 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2025 წლის 05 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N19

დ. ხარაგაული

9 აპრილის ქ. #15 05 ნოემბერი 2025 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა მანანა ბარბაქაძე საკრებულოს თავმჯდომარე,

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

დავით კიკნაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე,

პაატა გოგოლაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

ამირან ოქრომჭედლიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

ბესიკ კვირიკაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

პავლე კიკალიშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

შმაგი ხიჯაკაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

კობა კვირიკაშვილი იურიდიული,სამანდატო,საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

ჯანა ნემსაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე,

შალვა ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - ს ფრაქციის თავმჯდომარე,

გივი თხელიძე ფრაქცია ,,ხალხის ძალა“ თავმჯდომარე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი:

ნინო მაღლაკელიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

საკრებულოს აპარატი:

ლენა კალანდაძე საკრებულოს აპარატის უფროსი.

ზაალ ორბელაძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში

ნინო თხელიძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

ივანე ჭიპაშვილი საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:
ანა ნიქაბაძე ა (ა) ი, პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის თანამშრომელი,

მაკა ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი,
სულიკო გლუნჩაძე ოპერატორი.
მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა,

დღის წესრიგი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 07 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 17 დეკემბრის N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ნინო მაღლაკელიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2025 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის შესრულების შედეგების განხილვის შესახებ

მომხს: ნინო მაღლაკელიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე
კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი,

მომხრე 11,

წინააღმდეგი 0.

დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა დამტკიცებული იქნა (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ნინო მაღლაკელიძე ინფორმაცია საკითხზე **„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 17 დეკემბრის N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის** თაობაზე მან ყურადღება გაამახვილა დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატან ძირითად პუნქტებზე

აზრი გამოთქვეს:

დავით კიკნაძემ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, მან კითხვით მიმართა მომხსენებელს წლის ბოლომდე თუ გაქვთ გათვლილი ა(ა)ი.პ -ში შევსება.

მომხსენებელმა **ნინო მაღლაკელიძემ** უპასუხა, რომ მათი გათვლით მეტი აღარ დასჭირდებათ.

შმაგი ხიჯაკაძემ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ზამთრის პერიოდში ვარძიაში ყოველთვის არის საწვავის პრობლემა, ახლა მაინც იქნებ მოხერხდეს თუნდაც კიცხში დასაწყობება საწვავის.

მომხსენებელმა **ნინო მაღლაკელიძემ** უპასუხა, რომ მე ამ საკითხზე პასუხს ვერ გაგცეთ და ალბათ გაითვალისწინებენ გასული წლის გამოცდილებას.

მანანა ბარბაქაძემ საკრებულოს თავმჯდომარემ იკითხა რატომ გახდა საჭირო ჯანდაცვის პროგრამებისათვის თანხის დამატებით გამოყოფა, როცა 1 მლნ-ზე მეტი გვქონდა გამოყოფილი.

მომხსენებელმა **ნინო მაღლაკელიძემ** უპასუხა, რომ ამით გვინდა მიმდინარე წელს დავფაროთ ყველა ვალდებულება და მომავალ წელს არ გადავიტანოთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2025 წლის 07 ნოემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:

მომხრე 11

წინააღმდეგი 0 .

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2025 წლის 07 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში

2.საკითხის განხილვა დაევალა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებს თავიანთი სფეროების მიხედვით.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ნინო მაღლაკელიძე ინფორმაცია საკითხზე **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2025 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის შესრულების შედეგების შესახებ**

საკითხთან დაკავშირებით არსებითი კითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2025 წლის 07 ნოემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:

მომხრე 11

წინააღმდეგი 0 .

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2025 წლის 07 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში

2.საკითხის განხილვა დაევალა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებს თავიანთი სფეროების მიხედვით.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 07 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის)

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 07 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის **2025** წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2024** წლის **17** დეკემბრის **N25** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ნინო მაღლაკელიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2025 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის შესრულების შედეგების განხილვის შესახებ

მომხს: ნინო მაღლაკელიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე